# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 338. ხუთშაბათი, 11 აგვისტო 1905 წ. გაზეთის № 2884.

# არ დაიჭერეს

ა. სვირსკისა

საათმა 12 დაჰკრა, როდესაც ვარნაკი და კიზლიარი საქმეზედ წავიდნენ. ვარნაკს სციოდა და კბილი-კბილს აცემინებდა, კიზლიარს კი სცხელოდა.

შემოდგომის ბნელი ღამე გულ-მოდგინედ ჰფარავდა თავის შავს წყვდიადში ორს მეგობარს. გრილი, უჩინარი, მრავალხმოვანი და მჩხვლეტავი ქარი ზურგიდან აწვებოდა მათ და ეუბნებოდა: „თამამად! ნუ გეშინია!“

გარეშემო არავინა სჩანდა, ქალაქს ეძინა; ადამიანის ხმა არ ისმოდა და მხოლოდ სველი ქვები ფხაკუნობდნენ ფეხქვეშ.

— დადექ, ვარნაკ, მივედით! აგერ ის სახლი... ყველაფერი გახსოვს?

— მახსოვს.

— ყური დიმიგდე: შენ აი, იქ დადექი, ფხიზლად იყავ; პირს ნუ კი დაალებ. აბა, ვარნაკ, არ დამღუპო!

— კარგი, ვიცი.

— თუ რამ შემოგესმას, ისე მოიქეცი, როგორც მოვილაპარაკეთ, გაიქეცი და ხმა მომეცი.

— ფიქრი ნუ გექმნება; ბავშვი ხომ არა ვარ? წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

—

კიზლიარი ფრთხილად მიუახლოვდა საპარადო შესავალს და სახე ცივს მინას მიადო. შეიხედა შიგ. არაფერი სჩანდა. მან იცოდა, რომ იქ კიბეა, აქეთ-იქით გვერდებზედ კი ყვავილები სდგას, საშიში არაფერია: შიგ არივინ არ არის. მეკარე თავის ვაჟის ქორწილშია, ბატონები ქალაქიდან სხვაგან გაემგზავრნენ. კიზლიარმა ყოველივე ეს იცოდა. საქმე ერთგულმა გულიაშამ გაუჩინა. ის არას დროს არ უღალატებს: თვითონ ქურდი იყო.

„ჩქარა, ჩქარა!“—უთხრა თავის თავს კიზლიარმა და იგრძნო, მთელ ტანში ჟრუანტელმა როგორ გაურბინა.

კიზლიარმა ამოიღო უბიდან გრძელი, წვეტიანი ლურსმანი და მინის კუთხეს მიადო. ქარი ჩადგა პატარა ხანს. კიზლიარმა სუნთქვა შესწყვიტა და მინის ჭახა-ჭუხი მოესმა. შეინახა ლურსმანი და ჩვეულის თითებით დაუწყო ნატეხებს ამოძრობა.

ჩარჩოში არც ერთი ნატეხი აღარ დარჩა. კიზლიარმა მინა კედელთან მიაყუდა, რომ შემთხვევითს გამვლელს ფეხი არ წაეკრა. ერთის წამით შიში გადაუვარდა. მაგრამ უცბად მოესმა ქარის ზუზუნი და კანკალმა აიტანა...

უჩინრად გადაძვრა კიზლიარი ჩარჩოში და ხელის ფათურით კიბეს მიაგნო. შემდეგ ხელების დახმარებით აცოცდა მარმარილოს სიპს საფეხურებზედ. აი, სადგომის კარიც. წინადვე დამზადებულის გასაღებით გააღო კარი. სახეში თბილი ჰაერი ეცა.

კიზლიარმა ჯიბიდან სანთლის ნამწვი ამოიღო, მოუკიდა წუმწუმას, აანთო და ოთახი გაანათა... ერთს ადგილს გაშეშდა. მის წინ მხარ-ბეჭიანი, ღონიერი, თვალებ გაშტერებული კაცი იდგა.

თუმცა შიშმა დიდ ხანს არ გასტანა, მაგრამ ეს წამები საუკუნოებად მოეჩვენა. შემდეგ კი ყოველივეს მიხვდა: მან თავისი თავი დაინახა დიდ სარკეში. ბოლოს თავისუფლად ამოისუნთქა.

გავიდა მეორე, მაღალს, მდიდრულად მორთულს ოთახში. ავეჯი თეთრის გადასაფარებლებით იყო გადაფარებული. კიზლიარმა თვალი მოავლო ნივთებს და თვალები გაუბრწყინდა.

სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა კიზლიარი ამდენის სიმდიდრის დანახვაზედ. რამდენი ძვირფასი ნივთია! აგერ საათი ბრინჯაოს ცხენოსნით... აგერ ქანდაკებანი, ოქროს სკამები, სარკეები, სურათები... აქაურობა სიმდიდრით არის სავსე. მაგრამ ამ მძიმე ნივთებისთვის არ მოსულა კიზლიარი. თვითონ იცის, რაც უნდა. კარგად ახსოვს გულიაშას დარიგება და წინ მიდის. მშვენიერი ნივთები კი თვალებში ეჩხირება, აჯავრებს, იხმობს და ბუნებას უღვიძებს.

კიზლიარი სამუშაო ოთახში შევიდა. აგერ ის მაგიდა, რომელზედაც გულიაშა ელაპარაკებოდა. დასდგა მაგიდაზედ სანთელი და გარშემო მიმოიხედა. დიდი ოთახია, ორი ფანჯარა აქვს, წიგნების შკაფები, სურათები... შუა ალაგს დიდი მაგიდაა, მაყვლის ფერ მაუდ-გადაფარებული.

კიზლიარმა გრძელი წერაქვი ამოიღო, მოუახლოვდა მაგიდას, დაიჩოქა და მუშაობას შეუდგა. თავი გაუხურდა, ფიქრები კი უცხოვლდება და უქრება. ცარიელ ნდომად გარდაიქცა და სულელურის მუყაითობით დაიწყო მუშაობა. პირველი ყუთი გაღებულია. იქ ქაღალდებია. როგორი? იმისთვის სულ ერთი არ არის? აკანკალებული ხელი სტაცა იმ ქაღალდებს და ჯიბეში ჩაიდო. კიდევ ერთი ყუთი გასტეხა. ეს რაღაა? პატარა ყუთი. ოქრო წკრიალებს. პატარა ყუთიც გასტეხა. სავსეა ოქროს ნივთებით. ოქრო ოდნავ განათებულს ოთახში ბზინავს... „ჩემია!“—ჩურჩულებს კიზლიარი გამხმარის ტუჩებით და ნადავლს გულში იკრავს. მაგრამ უეცრად თითქოს მოეჩვენა... არა არ მოეჩვენა. ვიღაც დადის იქ, სასტუმრო ოთახში. ცხადად ისმის ფრთხილი და მძიმე ფეხის ხმა.

იმედი დაჰკარგა, შიშმა უმატა. ფეხის ხმა უახლოვდება. ესმის ადამიანის სუნთქვა. ყველაფერი გათავებულია. დაღუპვა აუცილებელია. მაგრამ არა, ის არც თვით დანებდება, არც ოქროს დაანებებს! სიკვდილი იმას, ვინც აქ შემოვა!

კიზლიარმა ამოიძრო წაღის ყელიდან ბრტყელი დანა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხელი მოუჭირა, შავი თვალები დააშტერა.

ვიღაც მივიდა სამუშაო ოთახის კარებთან და გაჩერდა. „სანთელი უნდა გავაქრო“, გაიფიქრა კიზლიარმა; მაგრამ გვიან-ღა იყო. გაიჭრიალა კარმა და ნახევრად გაიღო... კიზლიარმა წინ ნაბიჯი წარსდგა...

— ვარნაკ, შენა ხარ?

— ჰო.

— რისთვის მოხვედი?

— რა ვიცი... გულმა ველარ მომითმინა... იცი, როგორ მომწევდა... იქ არავინ არის... ნუ გეშინიან...

ვარნაკმა პატარა ყუთში ჩაიხედა დ თვალები გაუბრწყინდა.

— რამდენი ოქროა! ყველა ყუთი დაამტვრიე?

— ყველა.

— სასადილო ოთახში იყავი?

— ჯერა არა.

— მაშ, ჩქარა წამოდი, ტუტუცო... ვიქეიფოთ...

ვარნაკმა ხელი წაავლო სანთელს და კარებისკენ გასწია.

ალი გველივით იკლაკნებოდა, რადგან ვარნაკს ხელი უკანკალებდა და სანთელს აძრევდა. კიზლიარი ამხანაგს



**პორტრეტი.**—სურათი ლენბახისა.

გაჰყვა. მათი მბტუნავი, მახინჯი ჩრდილები ერთი-მეორეს მისდევდა, იატაკზე და კედლებზე ცოცავდა.

აგერ სასადილო ოთახიც. ამხანაგებმა მიმოიხედეს და საქმეს შეუდგნენ. გასტეხეს საჭმლების შკაფი და გამოალაგეს ვერცხლის, ბროლის და ფაიფურის ჭურჭელი...

ორივე თითის წვერებზე დადიოდა საჭმლების შკაფიდან მაგიდამდე და იქიდან კარებამდე, სადაც ყურს მიუგდებდნენ ხოლმე პატარა ხანს, ხომ არაფერი ხმაურობა ისმისო. შემდეგ კი ამაზედაც აღარ ჰფიქრობდნენ.

სიამოვნებით სძარცვავდნენ იქაურობას და აუწერელს სიხარულს ჰგრძნობდნენ.

— კიზლიარ, უყურე, შკაფი, გავტეხო?

— გასტეხე.

შკაფის კარებმა დაიჭახუნა და გადმოვარდა.

— სსუ... ჩუმად, შენ...

— დახე, რამდენი ვერცხლეულია!..

— ჩუმად, ყურ-მახვილად იყავ...

მათი თავდაჭერილი ჩურჩული, როგორც ფურცლების შრიალი, გაისმოდა ბატონის სადგომის ცარიელს ოთახებში. კიზლიარი და ვარნაკი სურვილით დაითვრნენ. ოცნებამ სადღაც შორს გაიტაცა. ორივეს სისხლი უდუღს, ათასგვარი ფიქრები-კი თავიდან არა შორდება.

— კიზლიარ, რაში ჩავდო?—ეკითხება ვარნაკი და საჩქაროდ ჯიბეებს ვერცხლის ნივთებით იტენავს.

— დაიცა, გასახვევს რასმე მოვიტან.

კიზლიარი სასტუმრო ოთახში მიდის და თვალის დახამხამებაზე ბრუნდება დივანის გადასაფარებლით ხელში.

— აქ ჩაჰყარე... ჩუმად... სსუ... ნუ ხმარობ, წყეულო...

კიზლიარი გულში იცინის სიხარულით. ვარნაკი ფეხზედ ძლივს სდგას. მაგრამ სურვილით ვერ გაძლა ჯერ კიდევ. გამხდარი სახე შეუწითლდა, ჭროლა თვალები გაუბრწყინდა, ნესტოები გაებერა. სუნთქვას მოუხშირა და უხმოდ სიცილს ეოჰყვა.

— კიზლიარ, ეს ჩვენია?

— ჩვენია,—ჩურჩულებს კიზლიარი.

— გვეყოფა, კიზლიარ... კმარა... ღამე გადის.

— დაიცა, ეხლავე... თვალი გადავავლო აქაურობას.

— გვეყოფა, წავიდეთ...

— ძვირფას ნივთებით დატვირთული ამხანაგები გასავლისკენ მიისწრაფვიან. ვარნაკმა დაინახა საათი ბრინჯაოს ცხენოსნით და გაჩერდა.

— დიდკაცური საათია. წამოვიღო?

— წამოიღე.

ვარნაკმა საათი გასახვევში ჩაუძახა.

— აბა, ახლა კი წავიდეთ,—წაიჩურჩულა მან.

— დაიცა, ეს ვიღაა, ასეთი გონჯი და დაბრეცილი?

კიზლიარმა კედლიდან დიდი სურათი ჩამოგლიჯა, ტილო ფეხით ამოხია, ჩარჩო კი ხელით დაამტვრია.

ამის შემდეგ გზას გაუდგნენ.

—

ვარნაკი გატენილის გასახვევით წინ მიდიოდა, კიზლიარი კი პატარა ყუთით იღლიაში—უკან.

ქარმა მალე გამოაფხიზლა ისინი და ორივე შიშმა შეიპყრო. რომ შეხვედროდათ ვინმე, მოჰკურცხლავდნენ. კიზლიარი ფეხებს ძლივს მიათრევდა. ძილი ერეოდა. თვალები ეხუჭებოდა.

ვარნაკი კიდევ ფხიზლად იყო. ძალზედ უნდოდა გაეგო, რამდენი ფული იპოვა კიზლირმა საწერს მაგიდის უჯრაში.

ცოტაც და ქალაქს გასცდნენ. ბოსტან-ბოსტან დადიოდნენ. ცოტა მანძილი-ღა დარჩა გულიაშას სახლამდე. ეხლა შიში აღარ არის. ისინი ერთმანეთს დაუმხარდამხარდნენ.

— კარგად ვიმუშავეთ,—ამბობს ვარნაკი.

კიზლიარი სდუმს.

— კარგა ხანი გავიდა, საცაა გათენდება.

— მეძინება,—სთქვა კიზილიარმა და დაამთქნარა.

ორივენი გაჩუმდნენ.

გულიაშას სახლი განმარტოვებით იდგა მოზრდილს უდაბურში. ოდნავ შესამჩნევ ნაცრის ფერ წერტილად მოსჩანდა უმთვარო ღამის წყვდიადში, ქარი თავისუფლად დაჰქროდა იმის გარშემო და ძველს ყავარს ანძრევდა.

დიდმა შავმა ძაღლმა დაინახა მგზავრები, ცხვირი ასწია შეიყნოსა ჰაერი და წინ მიეგება.

ვარნაკი კინაღამ წაიქცა, ისე დაეჯახა ძაღლს, რომელიც ნელის წკმუტუნით განზედ გახტა.

— გამარჯობა, ამკა, უკაცრავად!—წაიჩურჩულა ვარნაკმა.

ძაღლი უკან გაჰყვა. კიზლიარი, ვარნაკი და ამკა სახლის ერთად-ერთს ფანჯარასთან მივიდნენ და დააკაკუნეს.

სახლში რაღამაც გაიჩუჩუნა და ვიღამაც ჩაახველა.

— ვინ არის?—მოისმა ხმა არც თუ ყმაწვილის, არც თუ მოხუცის.

— შნიფი და შურიო,—უპასუხა კიზლიარმა და კარისკენ გაემართა

ბნელ დერეფნიდან მეგობრები პაწაწკინა დაბალ ჭერიან ძელის ოთახში შევიდნენ. სახლის პატრონი დიდხან ცოდილობდა დერეფანში რკინის საკეტავზედ. ძაღლი გარედ დარჩა.

ვარნაკმა გასახვევი მიწურს იატაკზედ დააგდო. ვერცხლმა გაიწკრიალა:

ერთად-ერთი პაწაწა ფანჯარა მჭიდროდ იყო მიკეტილი ოთხკუთხ ფიცრით. დიდს შეულებავს მაგიდაზედ თუნუქის ლამფა ენთო. ვიწრო საწოლი, გრძელი, სოფლური სკამი, პატარა ხატი კუთხეში, და ორი პატარა სკამი,—აი, იმ სახლის მთელი მოწყობილობა.

შემოვიდა გულიაშა. გრძელი განიერი ხალათი ეცვა. მაღალს საყელოში ჩაძვრენილი ჰქონდა თავი, პატარა ონავარის სახით. მისი ყვითელი სახე დაღარული იყო. გონიერი პირი მჭიდროდ მოეკუმა და შიგ-შევარდნილს ტუჩებზედ ეტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობოდა, რომ კბილები ცოტა-ღა ჰქონდა. მისი რგვალი თვალები და მიხაკის ფერი თვალის ბაიები მოუსვენრად ათამაშებდნენ და ვარნაკის გასახვევზედ გაჩერდნენ.

— მაჩვენეთ, მაჩვენთ, შვილებო, რა მოიტანეთ!

გულიაშა ბავშვსავით ლაპარაკობდა, სხაპა-სხუპით და გაურკვევლად ამბობდა ზოგიერთს ასოებს.

კიზლიარმა ყუთი მაგიდაზედ დასდო. უკან-უკან დაიწია და სკამზედ დაეცა. ძილი მოერია და მთლად მოეშვა.

გულიაშამ ყუთი გაალო. უკბილო პირის ვიწრო კუთხეები ყურებამდე გადაეხა. თვალები მოეპრუწა, დაღარულს ონავარს სახეზედ ღიმილმა გაურბინა და მაშინვე გაუქრა.

— ნამტვრევები მოგიტანიათ, შვილო, ნამტვრევები. ერთი ქვაც რა არის, ერთი... შენ რაღა გაქვს, ვარნაკ? მაჩვენე, შვილო, მაჩვენე.

ვარნაკმა გასახვევი ასწია და რაც რამ შიგ იყო, უნდოდა მაგიდაზედ გადმოეყარა, მაგრამ გულიაშამ შიშით ხელები გაიქნია.

— ეგრე არ შეიძლება... გონს მოდი. ხმაურობა არ შეიძლება.

ვარნაკმა სათითაოდ ამოალაგა ნივთები და გულიაშას გადასცა. მაგიდა მთლად აივსო ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთებით. კოვზები, დანები, ჭიქები, საათები, ჩანგლები—ყველა ერთად ეყარა.

— ნამტვრევები მოგიტანიათ, შვილებო, ნამტვრევები,— გაიმეორა ბებერმა, ყურადღებით დაუწყო თვითოეულს ნივთს სინჯვა და თან „პრობს“ ეძებდა.

— შვიდ თუმან ნახევარი... მეტი არა ღირს,—წაიბუტბუტა მან.

— ძალიან ცოტას იძლევი,— შენიშნა ვარნაკმა:

— ცოტას ვიძლევი? მე შვილო, ძალას არ გატან. სხვასთან წაიღე შეიძლება სხვამ მეტიც მოგცეს...

ამ დროს ფანჯრის ძირას ამკამ დაიყმუვლა და გულიაშამ ლაპარაკი შესწყვიტა. მკერდით ნივთებს დააწვა, შავი უკბილო პირი ნახევრად გაალო და შეშინებულის თვალებით ვარნაკს დააშტერდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. რაღაც მძიმე ჭრიალით უახლოვდებოდა სახლს.

— აჩუ, გასწი, შე საოხრო!—მოისმა ვილაცის ხრინწიანი ხმა.

ამკა ყმუილს განაგრძობდა. ცხადად ისმოდა თვლების ჭრიალი. სახლი ზანზარებდა. შემდეგ თან-და-თან შორდებოდა ჭრიალის ხმა და ბოლოს შორს მისწყდა. ძაღლმა ყმუილს თავი დაანება. გულიაშა წელში გასწორდა და უნებურად გადაჰხედა მძინარე კიზლიარს.

— კიზლიარ, გძინავს?

კიზლიარი ფეხზედ წამოხტა, თითქო ცივი წყალი გადაასხესო.

— მე?... არა. რა იყო?

— სასურველია ვიცოდეთ, რა იპოვე მაგიდაში? ჩვენც გვაჩვენე, შვილო!

— რომელს მაგიდაში?

კიზლიარმა გაუგებრად მიიხედ-მოიხედა გარშემო, შემდეგ—კი, როდესაც გონს მოვიდა, მაგიდასთან მივიდა, გაიხსნა ჩასაცმელი და ჯიბეებიდან ამოიღო ქაღალდები, რომელიც საწერს მაგიდაში იპოვა.

ქაღალდებისკენ სამკუთხედად დაიხარა სამი თავი: შავი, ხუჭუჭი — კიზლიარისა, წაბლის ფერი — ვარნაკისა და გულიაშას ყვითელი მოტვლეპილი ქალა.

— ი-ი-ი!—სულელურად წაიბზუვლა გულიაშამ და თავი აიღო.

— რა იყო?—შეეკითხა ვარნაკი.

— საძაგელი ქაღალდებია... ხიფათში გაბმა შეიძლება... უნდა დაიწვას...

— მე რა მენაღვლება... არ ვარგა—დასწვი.

კიზლიარმა მხრები აიწია და მიბრუნდა.

— ფული სადღაა?—მიაძახა ვარნაკმა.

— ფული არ იყო.

ვარნაკმა და გულიაშამ მრავალმნიშვნელოვნად გადაჰხედეს ერთმანეთს, გულიაშამ გაიცინა. იმის თვალებში საყვედური გამოკრთოდა.

— მაშ ეგრე?—სთქვა ვარნაკმა.

ამასთანავე გრძელი, გამხდარი სახე დაღრიჯა, მარცხენა თვალი კი ეშმაკურად მოპრუწა.

კიზლიარი მობრუნდა და დაინახა ეს, სახეზედ ალმური აუვარდა, თვალები კი ცეცხლივით აენთო.

— ღმერთმანი, არ იყო! თქვენ როგორ ლაპარაკობთ? არა გჯერათ...

კიზლიარი მიუახლოვდა.

— ჩუმად, შვილო, ნუ ხმაურობ... ქვეყნად ბევრი ყურია.

— ვარნაკ, შენ ხომ იქ იყავი...

პასუხად უნდობლობის გამომხატველი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ოჰ, წყეულნო, არა გჯერათ! პირი შეჰკარით, თუ რა არის?.. მოდით რაღა, გამჩხრიკეთ!

კიზლიარი სასოწარკვეთილებისაგან თავდავიწყებამდე მივიდა. გაიძრო ზედა ტანის საცმელი და გულიაშას შიგ სახეში სთხლიშა.

— აი, მე აქა ვარ... აჰა, გამჩხრიკეთ...

— მე, შვილო, ქურდებს არ ვჩხრეკავ... ისინი ვერაგები არიან...

— მაშ, შენი სიტყვით, მე ფული დავმალე?—წამოიყვირა კიზლიარმა. სიფრთხილე გადაავიწყდა და ხმას უმატა.

— გულიაშ, გჯერა, თუ არა, შენ?—დაუმატა მან და ტუჩები მოკუმა.

ბებერმა მოტვლეპილი თავი ხალათის საყელოში ჩაჰყო.

კიზლიარი ვარნაკს მიუხტა.



**მოსიყვარულე დედა.**—სურათი ლენბახის.

— გჯერა, თუ არა?

— მიჩვენე ფული—დავიჯერებ!

კიზლიარმა სასოწარკვეთილებით შეჰყვირა

— წყეულნო! რა დაგემართათ?!

გაჩერდა ოთახის შუა ალაგას და ანთებულის თვალებით სთხოვდა მათ, დაეჯერათ.

— გეყო სულელობა, გვაჩვენე ფული!

— ოჰ, ვარნაკ, ჩემს პატიოსნებას სახელს ნუ უტეხ... ცუდი საქმე დაგემართება,—წაიდუდუნა კბილების კრეჭით კიზლიარმა.

ვარნაკმა ზიზლით გაიცინა. კიზლიარმა ველარ მოითმინა და ამხანაგს მივარდა.

— სთქვი, გჯერა ჩემი, თუ არა?—გაისისინა მან და მძლავრის ხელით ვარნაკი კედლისკენ მოიგდო.

— ჩუმად, შვილო, ნუ ხმაურობ, ჩუმად...

— ეგეც შენ, ნახე!...—სთქვა კიზლიარმა, სული ძლივს მოითქვა და უკან დაიწია.

გულიაშამ ხალათიდამ თავი ამოჰყო და სახტად დარჩა. ალელვებული და აკანკალებული კიზლიარი შუა ოთახში იდგა სისხლში მოსვრილ დანით ხელში. ბრტყელი დანის პირიდან წურწურით ჩამოდიოდა სისხლის შავი წვეთები. გულიაშამ თვალი მოავლო ვარნაკს, რომელიც კედელს ეჭიდებოდა მთრთოლვარე ხელებით და ნელ-ნელა გვერდზედ ვარდებოდა. გულის ქვემოდ განიერ ჭრილობიდან ნაკადივით გადმოსდიოდა სისხლი.

შეშინებულმა გულიაშამ ლამპასთან მიირბინა, ჩააქრო და შეძრწუნებულმა ფანჯარას შეჰხედა.

ფიცრის ნახეთქიდან განთიადის პირველი სხივი შემოპარულიყო.

**დ. დეკანოზიშვილი.**




— ნუ გეჩქარება, მოესწრობიან მიდებას!..



გიმნაზიის მოწაფენი, რომელთაც გიმნაზიის გარედ, თანახმად მზრუნველის ნებართვისა, შეუძლიანთ იარონ სხვა ტანისამოსით.



1. **მასწავლებელი.** კმაყოფილი ხართ, რომ გააუქმეს გიმნაზიის გარედ ზედამხედველობა მოწაფეებზე?
2. **მასწავლებ.** სრულიადაც არა. ახლა შესაძლებელია იმათ შევხვდე იქ, სადაც თავისუფლად შევაფარებდით ხოლმე თავს და დროს ვატარებდით სურვილისამებრ.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 8 августа 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.